ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1721119

ნომერი: AR1279769

თარიღი : 30.01.2015

გაცემის თარიღი : 07.02.2015

გაცნობის თარიღი : 07.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 24ა (ნაკვ.02/049) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი დათებაშვილი პ/ნ 01019055144
- თბილისი ე.მანჯგალაძის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ არსებულ ღობეში საპროექტო კარის (ჭიშკრის მოწყობა) გათვალისწინებული გაქვთ სატრანსპორტო მიმოსვლისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე პირველ რიგში გასათვლისწინებელია ის გარემოება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს სატრანსპორტო მოძრაობის კუთხით მნიშვნელოვან ქუაზე, ამასთანავე აღნიშნული ქმედებით ზიანი მიადგება არსებული ღობის უკან არსებულ გამწვანებულ არეალს. ამასთანავე გაცნობებთ: იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ მოთხოვნილი სამუშაოები განპირობებულია გარკვეული აუცილებლობით, პირველ რიგში უნდა მოიპოვით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა, არსებულ ნაკვეთამდე შესასვლელის მოწყობასთან დაკავშირებით. მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ შეძლებს არქიტექტურის სამსახური ხელმეორედ წინამდებარე განაცხადის განხილვას, რომლის დროსაც დამატებით იქნება გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ შესასვლელის მოწყობის შემთხვევაში ზიანი არ უნდა მიადგენს სარეკონსტრუქციო არეალის მიმდებარედ არსებული ხეების ფუნქციონირებას და ასეთ შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი იქნება შიდა მხრიდან, რამოდენიმე რაკურსიდან გადაღებული ფოტომასალა და მათ საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟები.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.